№ 155 ივლისი 22, ხუთშაბათი 1893 ივლისი 22, ხუთშაბათი № 155

ГАЗЕТИ ДНІВ

თვე	მან.	ᲙᲞ.	თვე	მან.	ᲙᲞ.
12	10	—	6	6	—
11	9	50	5	5	50
10	8	75	4	4	75
9	8	—	3	3	50
8	7	25	2	2	75
7	6	50	1	1	50

ცალკე ნომერი—ერთი შაური

ᲘᲕᲔᲠᲘᲐ

გაზეთის დასაკვეთად და ელჩრ განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თბილისს რეალური, ავლაბარში, ავშვილის ქუჩაზედ, ვარანცოვი ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიაში, სამოგად-სახეურო ბანკის სახლში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1893 საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1893

ᲓᲦᲔᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲘ ᲜᲝᲛᲔᲠᲘ ᲒᲐᲛᲝᲪᲐ ᲨᲐᲑᲐᲗᲘᲡ, 24 ᲘᲕᲚᲘᲡᲘ

თავადი ვასილ გიორგის ძე მაჩაბელი სთხოვს ნათესავთა და ნაცნობთა მობრძანდნენ ივლისის 29 ს. თამარაშვილს დასასწრებლად წლის წირვასა და პანაშვიდზე **ქალბატონ ნინო დიმიტრის ასულს მაჩაბლის** სულის მოსახსენებლად. (1—1)

ახალი ამბავი

*** ლონდონიდგან გვწერენ, რომ იქ რაოდენსამე კომერსანტს განუზრახავს შეადგინონ კამპანია კაჟარის ღვინის საზღვარ გარედ გასატანადაო. უკეთუ კახეთის ღვინის კეთების საქმეს მეგვნახეები მკვიდრად ჩასჭიდებენ ხელს, კამპანია წინდაწინაც მისცემს ხოლმე ფულს, ავანსად, ღვინის ფასშია. თუ გამოფენაზე სადმე გაგზავნილა კახური ღვინო და გამგზავნთ მოწმობები აქვთ, საჭიროა ეს ქაღალდები გამოგვიგზავნოთ და შეგვატყობინოთ, ვინ არიან, სახელდობრ, დამფუძნებელნი ახალ საზოგადოებისა და ვისგან შესდგება ადმინისტრაციაო.

*** ვენგრიის საენტომოლოგიო საზოგადოების დირექტორი, ბ-ნი გ. ჰორვატი, რომელიც ბ-ნ მარიონთან ერთად ამ გზაფხულზე ჩვენში ფილოქსერისაგან დაავადებულ ვენახების გასასინჯად იყო, თავის ქვეყანაში უკვე ჩასული და იქიდგან ერთ პატივცემულ ქართველთან მოწერილ წერილში, სხვათა შორის, ამას ამბობს: „...მართლაც და, ჩვენ, როგორც მე, ისე მარიონს, ჩვენს სიცოცხლეში არ დაგვავიწყდება ის სტუმართ-მოყვარეობა და სამაგალითო თავაზიანობა, რომლითაც დაგვიხვდნენ ყველგან ამ მშვენიერ საქართველოში! ჩვენთვის სამუდამო მოსაგონარნი იქმნებიან ის შთაბეჭდილებანი, რომლებითაც თქვენს კეთილშობილ და სიმპატიურ ერს გამოვეთხოვეთ“.

ამ ხანად ბ-ნი ჰორვატი საქართველოში მოგზაურობის აღწერას შესდგომია და ვენგერთა ენაზედ ცალკე წიგნად უნდა დაბეჭდინოს.

*** გუშინ, ამ თვის 21-ს, ამიერკავკასიის რკინის გზის საგანგებო მატარებლით სადგურ წიფაში გაემგზავრნენ რკინისგზის მმართველის მოადგილე ტ მიავალნი მიწვეულნი, ობელისკის კურთხევაზე დასასწრებლად, რომელიც დღეს არის დანიშნული. წიფაში ობელისკი დადგმულია მის იმპერატორებითის უდიდებულესობის ტ მის სახლობის - მიერ, 1888 წ. 12 ოქტომბერს რკინის გზის გვირაბის გასინჯვის სახსოვრად.

*** ბ-ნმა ტფილისის პოლიციმეისტრის მოადგილემ უბრძანა პირველისა და მეათე განყოფილების პოლიციის ბოქაულებს, ვერის ხიდზე ამ თვის 21-დგან ნუღარ გაატარებთ დატვირთულ პოროსკენს, რადგანაც ხიდის ფიცრები ძველია. მსუბუქი ეტლები და ცხენის რკინის გზის ვაგონებმა-კი ნელა იარონო.

გარდა ამისა ბ-ნმა ტფილისის პოლიციმეისტრის მოადგილემ უბრძანა პოლიციის მოხელეებს, გამოუცხადეთ ყველა ბაყლებს და ვეჭრებს, ბაზრებში ხილეულობა გადაფარებული შეინახეთ, რომ ბუზები არ დასხდნენო. პურიც სწორედ ესე უნდა ინახებოდეს.

*** გუშინწინ, ღამე, 10¾ საათზე, მიწა იძვრა ქალაქში, მთაწმინდის მიდამოში. მხოლოდ ერთხელ ყოფილა გრიალი და ისიც სუსტი.

*** ერთს წევრს-მსესხებელს ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისას საჩივარი მიურთმევია ამ დაწესებულების ზედამხედველ კომიტეტისათვის იმის გამო, რომ ბ-ნი პ. ა. იზმაილოვი უკანონოდ იქმნა არჩეული წევრად—რწმუნებულად სასაკრედიტო საზოგადოებისაო. ზედამხედველ კომიტეტს განუხილავს ეს საჩივარი და საბუთიანად უცვნია.

*** ტფილისის მაზრის სამმართველო ახალ სადგომში გადავიდა: მიხეილის ქუჩა, წოვიანოვის სახლი, № 103.

*** კათოლიკოსმა მკრტიჩ II გაუგზავნა ეჩმიაძინში ეპისკოპოს იერემიას, კათოლიკოზის მოადგილეს, შემდეგი დეპეშა:

„ყოვლად-შემძლებელმა ღმერთმა ინება, რომ ერის არჩეული დამტკიცებინა უავგუსტოესის იმპერატორის მარჯვენასა. ამის გამო მრავალთ, განურჩეველად წოდებისა, მომილოცეს უმაღლესად დამტკიცება. რადგანაც არ შემძლიან ვუპასუხო ყველას განსაკუთრებით, ვარჩიე ჩვენი მამამთავრი მოვალეობა აღგვსრულებინა და ჩვენი გრძნობა გამოგვეთქვა სადიდებლად ზეციერის მამისა, რომელსაც შევევედრე: იყავნ ნება შენი, აღვამაღლე ლოცვა სადღეგრძელოდ უავგუსტოესის იმპერატორისა, რომელმაც დაადგინა ჩვენი სურვილი ერისა, და აკურთხე ერი, ეკკლესიის მოძღვრებათა ერთგული. ეს დეპეშა გამოაქვეყნეთ „არარატში“ და გაზეთებში“.

*** ტფილისის პოლიციმეისტრის მოადგილემ დაავალა ქალაქის ბოქაულებს, თვალ-ყური აღიდგინეთ, რომ სასტუმროებსა და გასაქირავებლად მოწყობილ ოთახების პატრონებმა დაუყოვნებლივ აცნობონ ხოლმე პოლიციას ქალაქში ჩამომსვლელთა და წამსვლელთა ვინაობა.

*** სწორედ ამ ნაირივე წესი შემოღებულ უნდა იქმნას ბორჯომსა და აბასთუმანში, თანხმად უმაღლეს მთავრობის განკარგულებისა, ხოლო იქ ვალდებულნი არიან აცნობონ პოლიციას მიმსვლელ-წამსვლელთა ვინაობა არა მარტო სასტუმროებისა და მოწყობილ ოთახების პატრონები არამედ ყველა სახლის პატრონები და მოურავები.

*** 19 ივლისს, საღამოს, მუშთეითის ბაღში, როცა ხალხი ბლომად იყო და მუსიკაც უკრავდა, ერთი დაუჯერებელი ამბავი მოხდა. ერთ ახალგაზდა გასათხოვარ ქალს ვიღაც თავზე ხელ-აღებულებმა ნავთი გადაასხეს და ცეცხლი მისცეს. კარგი, რომ ხალხი მიეშველა და დროზედ გაუქრეს ცეცხლი, თორემ საბრალო ქალი სულ დანახშირდებოდა. მიინც-კი ტანისამოსი თითქმის სულ დაეწვა და ალაგ-ალაგ ტანიც დაეშუშხა.

ბოროტ-მოქმედნი გაქრნენ.

*** 20 ივლისს მეორე საზიზღარი ავაკაცობა მოხდა იმავ მუშთეიდში. ერთი ახალ გაზდა ქალი, ეხლახან ტფილისში ჩამოსული, მეზობელმა ქალმა გიიპატიჟა ფაეტონით მუშთეიდსა და დიდუბეში. როგორც გასცდა ფაეტონი მუშთეიდს, გზაში გადაეღობნენ მეზობელ-ქალის ნაცნობნი, ტიგრან ტერ-მინასიანკი, ვასილ პეტროსიანცი და სვიმონ აბელიანცი, რომელთაც ორივე ქალი მიიპატიჟეს სასეირნოდ მუშთეიდში. ბაღის მიყრუებულ ადგილს რომ მიუახლოვდნენ, ორმა კავალერთაგანმა სტაცეს ხელი ახალგაზდა ქალს, პირი მოუკუმეს, გზას იქით გადითრიეს და ძალ-დატანებით მოიკლეს მხეცური ჟინი. სამივე დამნაშავე დაპატიმრებულია.

*** ამ უკანასკნელს დღეებში ამიერკავკასიის რკინის გზით მრავალი მაჰმადიანები მოდიან მექადგან, სადაც როგორც ოფიციალურად ვიცით, ხოლერა მძვინვარებს. მაჰმადიანები მექადგან პირდაპირ ბათუმში მოდიან. გზაში მაჰმადიანებს ექვსის დღით კარანტინს გამოატარებინებენ.

*** 12 ივლისიდგან 17 ივლისამდე ბაქოში ხუთი შემთხვევა ყოფილა სიეკვო ავად-მყოფობისა, რომელიც ხოლერას წაადგადა, მაგრამ ხოლერა-კი არა ყოფილა. ავადმყოფობა ესე მიმდინარეობდა: პირ-საქმობა, ფაღარათობა, მაჯის სისუსტე, სილუარჯე და ხანდისხან კრუნჩხვაც. ამ მდომარეობაში იყო ავადმყოფი 3—6 საათს. შემდეგ-კი მაჯაც რიგზე დაუწყებდა ცემას, გულზიდილიცა და ფაღარათობაც შესწყდებოდა, ავადმყოფს სითბო ემატებოდა, მშვიდდებოდა და კარგად ხდებოდა. ყველა ავადმყოფები მორჩენილან.

სწორედ ამ ნაირადვე ყოფილა ავად ის მანდილოსანი, რომელზედაც გუშინ გვქონდა ახალ ამბავში მოხსენებული, მამა მიხეილ ჯავაშვილის სიტყვით. სასურველია, რომ ამ ავადმყოფობისა ექიმის პირით გავიგოთ რამე. როგორც ვიცით, ავადმყოფ მანდილოსანთან საპოლიციო მე 9 ნაწილის ექიმი ბ-ნი თარხანოვიც მისულა და არ-კი ვიცით, რა ავადმყოფობად უცვნია.

*** დ. ზესტაფონი: 9 ამ თვისას ქიოთურის რკინის გზის შტო უკვე ს. სალიეთში ჩაიყვანეს, საიდგანაც ამ დღეებში კიდეც დაიწყებენ შავიქვის ზიდვას რკინის გზით. ს. ქიოთურამდე კიდევ 6 ვერსი რჩება გასაკეთებელი.

*** სოფ. თეკლთი (სენაკის მაზრა): ამ თვის ექვსს სოფ. თეკლათში

ᲤᲔᲚᲔᲢᲝᲜᲘ

ᲐᲠᲐ ᲛᲙᲘᲗᲮᲔᲑᲘ ᲠᲔᲕᲘᲖᲝᲠᲘᲡ ᲨᲔᲜᲘᲨᲕᲜᲔᲑᲘ

(დასასრული *)

ხელ-მოკლე კაცი ყოველთვის უადვილეს საშვალებას მიჰმართავს ხოლმე. საბეჭაოს მცხოვრებნიც ასე იქცევიან: მიდიან და თავიანთ უპატრონო სიცოცხლეს იმას უგდებენ ხელში, ვინც უფრო იაფად კისრულობს მის მოკვეთას. ისინი შინაობაში გაზრდილი ექიმები გახლავან. მე თითონ მჭონდა საუბარი ერთ ამ გვარ ექიმთან, რომელსაც დიდი სახელი მოუხვეჭია საბეჭაოში. წინად რაღაც სენით ყოფილა შეპყრობილი. ყველა სოფლის ექიმები მოუყვანია, თორმეტი „ღლავნი დოხტური“ უნახავს, როგორც თითონ მითხრა, მაგრამ ამის სატკივარს ვერავინ მიმხვდარა. ბოლოს ერთი ექიმი უსწავლებიათ და ამას მოურჩენია. რადგანაც ფულზე ხელ-მოკლედ ყოფილა, ექვსის თთვის სამსახურით გამოუსყიდია თავისი ძვირფასი სიცოცხლე და იქიდგან, ჯან-მრთელობას გარდა, „დოხტურობაც“ მოჰყოლია.

— ჰმ!.. ჩემი ამბავი მართლა ისტორიაში ჩასაწერია, მითხრა იმან. მე რომ ერთი ორი კლასი მცოდნოდა, ქვეყანას გავოცებდი. ყველა ერთნაირად-კი ვერ მოიხმარს სწავლას: მაგრამ მადლობა ღმერთს, რომ არაფერი მისწავლია, თორემ ცომბრის აქეთ არ მექნებოდა ალაგი. ქვეყანას გადავაბრუნებდი, მგონია! ახლა ექიმობაზე მოგახსენებ. აქაც ხელზეა საქმე. ყველა კარგი ხელისა როდი გამოვა. მე ისეთი ხელი მაქვს, წმინდა წყალი რომ დავალვინო ავადმყოფს, მაინც მოუოხებს, დაამოლოგა მან კვეხნით. მართლაც, არა ერთი და ორი ბოთლი წყალი მიდის ამის სახლიდგან საბეჭაოს სოფლებში, მაგრამ წმინდა-კი არა, ათას გვარის ბალახის წვენით შეღებილი. აი, ამისთანა დარაჯი ჰყავს საბეჭაოს მკვიდრთა ჯან-მრთელობასა და სიცოცხლეს. ბეჭაობაც ამას ჰქვიან, როცა შენს სხეულს მიუგდებ საპატრონოდ იმას, რომლის სხეულს ათას ნაირი უკურნებელი სენი ჰქენჯნის და სულს კიდევ იმას მიანდობ, რომელსაც თავისი სული უკვე მიუყიდნია ეშმაკებისათვის!.. ამდენნა უნუგეშობამ საშინლად შემაღონა. გული საშველად მერჯოდა, მაგრამ სრული უღონობა ჩემი ამდენის ბეჭავის ხალხის გაჰვირვებასთან საბრძოლველად მხოლოდ ცრემლებს მგვრიდა. ერთის სიტყვით, კინალამ „ნებლაღონადიოჟნი“ გავხდი. ამ ჟამად ჩემს თავს დავუწყე რეკვიზაა და ვერაფერს თმელს ჩემს ცოდნაში სანუგეშოს ფეხი ვერ წამოვკარი. საშინლად შემეჯავრა ჩემი თავი და კიდევ უფრო შემეჯავრა დიდგულაძე, რომელსაც ასე ბევრი შეეძლო და მარტო ქაჯმა თუ იცოდა, რას ეხმარა ის ამ ჟამად თავის შეძლებას. ამ ჟამად ჩემი თავი მართლა რევიზორად წარმომედგინა და გაფოთებული გავრბოდი დიდგულაძის ბინისაკენ. ღილის ათ საათზე მე და რამდენიმე ავადმყოფი დიდგულაძის სახლის კარებთან ვიდექით და მსახურის გამოსვლას ველოდით. ღია ფანჯრიდგან თვალი მოვკარი ნაცნობს ფერშალს. განიერ სარკის წინ იდგა და თავს ივარცხნიდა ისეთი გულ-დადებით, რომ მაშინვე იტყოდი: ამას თავი დასავარცხნად გაჩენილი ჰქონია, თორემ სხვა მისი დანიშნულება აზრადაც არ მოსდისო. დიდის ხნის ლოდინის შემდეგ მსახური გამოვიდა და გამოგვიცხადა, რომ დღეს ექიმი ავადმყოფებს ვერ მიიღებსო. ძნელი ასაწერია ის ტანჯვა და საყვედური, რომელიც ამ უბედურების სახეზე გამოიხატა. დასტოვეს ოხვრით ექიმის ბინა და თავ-შესაფარს დაუწყეს ძებნა, რომ მეორე დღეს კიდევ ეცადათ ბედი. მეც მინდოდა მეორე დღემდის დავრჩენილიყავი, მაგრამ ყოველი ჩემი ცდა, რომ იქაურ რესტორანის სურნელოვანებას შევრიგებოდი, ამაო იყო. საკვირველია ღმერთმანი! ან ის მიკიტანი როგორ ბედავს ამდენის უვარგისის ხორაგის გასაღებას, იმისთანა კაცის

*) იხ. «ივერია», № 154.

შემდეგი სამწუხარო ამბავი მოხდა. ორს აქაუს მცხოვრებს მამულზედ ლაპარაკი მოუვიდათ. ლაპარაკი ჩხუბად გადაიქცა. ერთმა მათგანმა ისე მძიმედ სცემა მეორეს, რომ საბრალო რავდენსამე დღეს შემდეგ სული განუტევა.

სხვაფრივ აქეთ მშვიდობიანობაა. თუმცა ამ ივლისში საგრძნობელი სიცხეები არის, მაგრამ ჯერ-ჯერობით-კი არავითარს ავადმყოფობას უჩენია თავი. წინად ამ დროს ცივ-ცხელებით დაავადებული მრავალი კენესოდა ლოგინში...

*** სოფ. ნატოხბო (სენაკის მაზრა): როგოც ამას წინად „ᲘᲕᲔᲠᲘᲐᲨᲘᲪ“ ეყო მოხსენებული, ჩვენს სოფელში თურქული გაუჩნდა საქონელს. ეხლა ეს სენი, ღვთის მადლით, თან-და-თან ჰქრება და იმედია, მალე მოისპოს. ამ ჟამად აქეთ ნამეტანი სიცივეებია და ხშირად აღმოსავლეთის ქარი ჰქრის. ამის გამო ჭირნახულს ძალიან უჭირს. მალამოსავით დაედება გვალვებისაგან ამწვარ-აშუშულს ჯეჯილს ერთი წვიმა.

*** ᲐᲮᲐᲓᲐᲜᲖᲘ: აქ ამ თთვის 19 ქართული წარმოდგენა იყო გამართული საქველმოქმედო მიზნით. სხვითა შორის დიდის მადლობის ღირსია ბ-ნი მაქსიმე ი. კალანდარიშვილი, რომელმაც ყოველისფრით დიდი შემწეობა აღმოუჩინა ჩვენს ახალს დასსა. წარმოდგენაში მონაწილეობას იღებდნენ სულ ახალი მოთამაშეები, რიცხვით 7 კაცი და ქალი. რაც შეეხება მოთამაშეებს, კარგად მომზადებულიყვნენ და თავიანთი როლი კარგად შეესწავლათ. სხვა მოთამაშეთა შორის, სწორედ სანაქებოდ თამაშობდა თავის როლს ახალგაზდა ქალი ფეოდოსია კალანდარიშვილის ასული. ამ ახალგაზდა ქალს ეტყობა ნამდვილი სასცენო ნიჭი. საზოგადოება გვარიანად დაესწრო ჭ ყველანი დიდს აღტაცებაში მოიყვანა მკვირცხლმა თამაშმა.

*** გაზეთი Нов. Обозр. იუწწყებს; რომ ქუთაისის პირველ საფილოქსერო დასის ყველა წევრები, უთანახმოებისა გამო ურთიერთ შორის, თავს ანებებენ სამსახურს.

*** 20 ივლისს ალავერდის საზოგადოების მცხოვრები ალექსანდრე ლეკანის ძე ჯიბინაძე, რომელიც პუშკინის თეატრში მსახურობდა, მტკვარში ბანაობდა და დაირჩა.

*** 21 ივლისს, დილის 4 საათს, გოლოვინის პროსპექტზე, რეიტერის სახლში ალგარიანცის ლიმონადის ქარხანას ცეცხლი გაუჩნდა და დაიწვა სახლის სართულის ერთი მხარე. ცეცხლი შინაურებმა ჩააქრეს.

*** 20 ივლისს, ფრეილინის ქუჩაზე მცხოვრებმა არშაკ კეგამოვმა პოლიციაში გამოაცხადა, რომ ჩემმა მოსამსახურემ ხაქარია აკოფოვმა ჟილეტის ჯიბიდგან 900 მანათი მომპარაო. დამნაშავეს დაეძებენ.

დაბალ სოფელი

(მოწერილი ამბავი)

ᲡᲝᲤ. ᲑᲝᲠᲩᲮᲐ (ბათუ'ის ოლქი), 14 მკთხოვკე. მოგეცათ ლხენა, რომ, თუ ასე კარგად და ჯან-საღად გასტანა წრეევანდელმა ზაფხულმა, ჩვენს ბედს ძაღლი ვერ დაჰყეფს. მადლობა ღმერთს, მისის და თქვენის წყალობით ჯერ-ჯერობით მშვენიერს მოსავალს ვუყურებთ. პური და ქერი ხომ ძალიან კაკლიანი გამოგვივიდა. თუმცა ბლომად არ სთესენ აქაურები, მაგრამ მაინც რაც არის, დედამიწამ ღირსეულად დაუფასა მუშა-ფუხარას თავისი ჯაფა. თუთუნიც ხომ არის და არის, თავის დროზე წვიმაც აქეს და ნამიცა, ასე რომ ჯერ ბუნება ძალიან უწყობს ხელსა. ასე და ამ ნაირად, იმედი გვაქეს ფლავიც გვექნას საყოფი და ფხალიცა. ხილიც ბევრი გვაქეს, ყურძენს ძალიან ბლომად ასხია, თუ რამე ფთერაკმა არ მოუღო ბოლო. წრეულ ბეკრს ვიმღერებთ „გელიერუს იანა, იანა გელინი გეთურიერუხ სანა“ (მოგდიცვართ წვით და დაგვით რძალი მოგვყავს შენთანა); იმედია, ბევრი ვიძახოთ ამისთანა ლექსები. შირა და ბეკმეზი (მაჭარი და იმიდგან ნადაღი ტკბილი) ხომ კაი ძალი გვექნება, აბა სხვა რა არის ადამიანისთვის საჭირო და საგონებელი ამ წუთის დუნიაზე.

ერთი ჩვენი სადარდელი გზა იყო ბათუმ-ართვინისა და ისიც ასე გაგვიწმინდეს და გაგვიფაქიზეს, რომ სულ ლაპლაპი გაიქეს; თუ გინდათ კეკრცხი აგოროთ, არაფერს მოიდება, ისე დაგვილსა და გასეტალეებულს ინახვენ. არ ვიცით-კია, ვის დავუმადლოთ ეს სისუფთავე გზებისა. ერთის სიტყვით, ბათუმიდგან სოფ. სინკოტამდის (65 ვერსია ბათუმიდგან) ოთხ ცხენ შებმული ეტლები ბრაგა-ბრაგით დარიხინებენ თავისუფლად. ამ გზის წყალობით, ვის ნახვის ღირსნი არ შევიქენით წელს, ვინ არ იყო ამ გზებზე: კორპუსის კომანდირი თავ. ამილახვარი, ქუთაისის სამხედრო გუბერნატორი და გზების მინისტრისაგან დანიშნული საგანგებო საქმეთა მინდობილების მოხელე პეტერბურგიდგან. ვინ უფრო ღირსია, მადლობა შევსწიროთ, აღარ ვიცით. ასე და ამ გვარად, დღეს დავსეირნობთ ამ მშვენიერს გზაზე დღე და ღამ, როგორც ლამაზად მორთულ და მოწყობილ სასახლის იატაკზე.

თუმცა ამ გზამ ერთი კაცი შეიწირა, მაგრამ ამისთანა საქმე უფრო მეტსაც შეიწირავს ხოლმე ჭ აქ არა გვეთქმის-რა მით უმეტეს, რომ თვით, უბედურია მიზეი თავის დაღუპვისა. ამს წინად ამ გზაზე ორი ძმა კაცი მუშაობდა. ერთი ძმა ჭოროხზე ჩავიდა წყალის დასალეკად და ამოსატანად. აღარ გამოჩნდა ეს კაცი და ძმას და ამხანაგებს გაუწყდათ ლოდინის ილაჯი. მერე სთქვეს, წავიდეთ, ვნახოთ, ხომ არა დაემართა-რაო. წავიდნენ ეძებეს, უყვირეს, და კაცი არსად ჰპოვეს. ბევრი უყურეს კიდედამ ღაღმა-გამოღმა, მაგრამ თვალი ვერსად მოჰკრეს ვერც მკვდარს და ვერც ცოცხალს. მაშინკი დარწმუნდნენ, რომ ის უნდა წყალში ჩავარღნილიყო. კიდეც აგრე გამოდგა. ძმა დაჰყვა წყალს და ბორჩხას ახლო იპოვნა თავისი ძმა დამრჩვალი.

იქნება ახსოვდეს კიდეც „ᲘᲕᲔᲠᲘᲐᲨᲘᲪ“ მკითხველთ ჩემი მცირე წერილი, რომელშიაც იყო მოხსენებული, რომ აქაურ ქართველ მაჰმადიანებს ნახევარი ოჯახობა და ხირმი ოსმალოში ჰყავთ-მეთქი. ზოგს ისე ახლო ჰყავს ოჯახობა, რომ ერთ დღეს გადასვლა-გადმოსვლასაც ადვილად მოახერხებს, პირდაპირ რომ წავიდეს. მაგრამ ამ სიამოვნებას ესეწი მოკლებულნი იყვნენ დღემდის. ლაზისტანის კორდონზე მარტო ორ ალაგას შაეძლოთ გადასვლა და გადმოსვლა, ისიც ბილეთით, სამის დღის ვადით, რომელსაც აძლევს ფოსტის უფროსი, რაღგან ზაფხულობით აქაურები ერთმანერთს ეხმარებიან ყანის მუშაობის დროს. ეს ფოსტები გახლავთ ერთი ლიმანისა (ზღვის პირზე), ხოფის მახლობლად) და მეორეც ორჯოხში (ართვინის ოლქშია, ართვინის ზევით ოცის ვერსის მანძილზე), ასე რომ ასი ვერსის გზაა ერთ ფოსტიდგან მეორემდის. რომ უნდოდეს აქაურ მცხოვრებს თავის ხისიმის (ნათესავის) ნახვა, ან ერთ ფოსტაზე უნდა გაიაროს ან მეორეზე, ორი დღის სავალზე. ეს ძნელია, რასაკვირველია, და ამიტომ რასა სჩადიოდენ აქაური მცხოვრებნი? რადგან თავის სოფლიდგან სამ-ოთხ საათის მანძილზედ ეგულება თავისი ნათესავი, ის ჩუქად გადაიპარებოდა და ისევ გადმოვიდოდა, როდესაც-კი მოინდომებდა. მაგრამ ამას მარტო კაცები ჩადიოდნენ, თორემ ქალ-ბაღანას რა გადაიყვანდა იმისთანა უზარ-მაზარ მთა-ტყეზე, როგორიც აქ არის. მაშასადამე, აქაური ქალ-ბაღანა აქნობამდე მოკლებული იყო, თუ ძალიან არ მოინდომებდა, ენახა თავისი ახლო ნათესავები და იმათის ნახვით დაეტკბოთ გული, ესიამოვნათ ერთმანეთში. ახლა, როგორც გავიგეთ ნამდვილ წყაროდგან, ვისგანაც ჯერ იყო, ნება მიუცია თურ, რომ ამ ორ ფოსტის შუა ხუთ ფოსტაზე კიდეე ჰქონდეთ გადასვლა-გადმოსვლის ნება. სწორედ დიდი ღვთისწყალობაა აქაურებისთვის ამისთანა განკარგულება და ძალიან შეღავათს მისცემს ფუხარას ამ ტანჯვის აცილება თავიდგან. ახლა იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ადგილობრივი ადმინისტრაცია ამ ფოსტებიდგან იმისთანას ამოირჩევს, სადაც ბევრი მცხოვრებია გადაღმა-გადმოღმა მხარეს, გაუადვილებს ერთმანერთში მისვლა-მოსვლას და ამით მოსპობს გადაპარვა-გადმოპარვას ყაჩაღივით.

ნამდვილ წყაროდგან გვესმის და გავიგონეთ კიდეც, რომ ამ ხეობაში უნდა გადმოასახლონ არდაგანის ოლქიდგან რამდენიმე მოსახლე მალაკნები და დაასახლონ სხვა-და-სხვა სოფლებში მაჰმადიანებთან ერთად. აბა, მაშინ როგორ იცხოვრებენ ესენი ერთად არეულ-დარეული, მალაკანი და მუსულმანი. აქაური ქალი მეზობელსაც ემალება, თორემ მალაკნის გვერდზე რაფერ უნდა იმუშავოს ყანა-ბოსტანში მუსულმანის ქალმა. არც იმათი კანონი აძლევთ ნებას და არც ადათია, რომ უცხო კაცებთან იმუშავოს მუსულმანის ქალებმა და უცქირონ ერთმანერთს თვალში, აბა ამას რომელი მაჰმადიანი აიტანს და მოითმენს. არა მგონია, რომ შეიძლებოდეს იმათი ერთად ცხოვრება. იმ მალაკნებიდგან სამი კაცი ადგილის დათვალიერების შემდეგ ენახვენ: „რაღ ერიდება ასე დიდგულაძე მშრომელს უმრავლესობას? რატომ არ, ესმის ამდენ საკოდავთა კვნესა? აგერ სოფლის საზოგადოების საუკეთესო მშრომელს ანადგურებს ათას ნაირი სენი; სული ამოსდით სისაწყლეში, სიბეჩავეში, უმეცრებაში, მაგრამ არც ერთი ღვთისნიერი ჩამგონებელი, გზის მაჩვენებელი არ გაიჩნიათ და, იმ დროს, როცა უპატრონობის გამო სული ამოსდით, ვისის ოფლითაც დიდგულაძისებურ კაცების ბედნიერება შექმნოდა, დიდგულაძის ეტლი სრიალით უახლოვდება რომლსამე წურბელა ჩარჩის კაცებს. ამ უკანასკნელს გადაპარებებულის მუცლის პატივით კუჭი მოშლია და, ცოტა არ იყოს, უგუნებოდ გამხდარა. სასაცილოა გაგა, სამწუხარო რომ არ იყოს? აქ ათასი მარჯვე მკლავი მიწდება, პატიოსან მუშაკის სიცოცხლე ჰქრება ეკითხე, როგორ მოგეწონათ ი ადგილები მეთქი. იმათ მიპასუხეს,' რომ ძალიან კაი ადგილებია, მაგრამ გზა არ არისო. მე ვუთხარი:

— როგორ უნდა იცხოვროთ მუსულმანებთან ერთად, ისინი თქვენ ვერ გაგიტანებენ, თქვენ იმათა, და ყოველ დღე ჩხუბი და დავიდარაბა არ მოგაკლდებათ-მეთქი. იმათ მიპასუხეს:

— ჩვენ იმათ არ ვეჩხუბებითო, ჩვენ გაგვიერდება სანამდის ღორებს გაიჩენდეთ, თორემ შემდეგ ისინი გაიქცევიან ოსმალეთში და მერმე ვის უნდა ვეჩხუბოთ, დავრჩებით მარტონიო.

— დიაღ, ეს ნამდვილი და პატიოსანი ბაზრია-მეთქი; თქვენ რაღ უნდა იწუხოთ თავი, როდესაც თქვენ მაგიერ საქმეს ღორებიც შეიძლებენ.

ეს რომ გაიგეს აქაურ ფუხრებმა, ბ ნს ქუთაისის სამხედრო გუბერნატორს მოახსენეს, დაგვიხსენ იმათის ხელიდგან, იმათთან ერთად ჩვენი ყურანი და ადათი ნებას არ გვაძლევს, რომ ვიცხოვროთო. ჩვენი ქალი-ბაღანა იმათ ვერ გამოუჩნდება, ყანა-ბაღჩაში ჩვენ ცოლშვილმა თუ ვერ იმუშავა, ისე თავს ვერ ვიჩენთო. გვიშველე, გვიშველობე, არ გადმოასახლო ჩვენდგა დასაღუპავადაო.

ამ თხოვნას ბ-ნი გუბერნატორი შაიწყნარებს თუ არა, ჯერ არ ვიცით, მაგრამ მგონი არ უნდა იქმნას ამათი თხოვნა შეწყნარებული, თუმცა ძალიან საწყენი და სამწუხარო იქნება ყველა აქა მცხოვრებ მაჰმადიანებისათვის უცხო ტომთა გადმოსახლება. თუ, მართლადაც, მალაკნებს აუსრულდათ წადილი, მაშინ მურღულის ხეობაში ერთ მუსულმანს ვერ ვიშოვით წმილად, ერთ მშვენიერ ღამეს ყველა გადაიბარგება ოსმალეთში და იქიდგან შავი დღე დაადგებათ ღორებსა და მათ პატრონებს. ისეთ დღეს დააყენებენ, რომ გასაქცევი გზაც ვერ იპოვონ. აბა ვინ მოუთმენს იმას, რომ მამულ-დედულიდგან ხელი დაიბანინოს ვინმემ და ოსმალეთში შიმშილის კერძი გაჰხადოს ამდენ ფუხრების ქალი-ბაღანა!

თ. ი. ჯაიანი

ᲡᲐᲛ ᲒᲕᲐᲠᲘ ᲬᲐᲛᲝᲚᲐᲡᲚᲐᲛᲘ

(ᲙᲐᲢᲣᲚ ᲛᲔᲜᲓᲔᲚᲐ)

უცნაური ხმა გავრცელდა იმ ქვეყანაში, სადაც სცხოვრობს ახალგაზ-

გვერდთ, რომელსაც მთელის მხრის მკვიდრთა ჯანმრთელობაზე ზრუნვა აქვს დავალებული და ან დიდგულაძე როგორ იტანს იმ სუნს, რომელსაც ხსენებული რესტორანი ავრცელებს? სწორედ ამაზე ვფიქრობდი, როცა ნაცნობმა ფერშალმა შემოჰყო თავი. გაწითლებული სახე, მოდუნებული ენა და ტორტმანი სიარული უტყუარი საბუთი იყო იმისი, რომ იმას დღეს ბახუსისათვის მოეყარა მუხლი. რაც აკლდა, ის ჩემის მიკიტნის გულ-უხვობამ შეუსრულა. მოგეხსენებათ, მთვრალი კაცი ცოტა არ იყოს გულ-გა'ფლილია და ამანაც, დამინახა თუ არა, ჩამეკონა და კოკონა დამიწყო.—ბიჭო და შე პადლეცო, აქ თუ იყავი, რატომ ჩემთან არ შემოხვედი, მისაყვედურა მეგობარმა.—აბა რაზე ჩამოსულხარ?

— დიდგულაძის ნახვა მინდა, საქმე მაქვს იმასთან, მივუგე მე.

— ჰოო! იმ ჩვენის ბატონისა? ძალიანაც-კი გინახულებს! აგერ ერთი ვკარაა კარ-გამოკეტილი ზის და ისიც არ ვიცით, ღვთის წინაშე, სული უდგას, თუ არა. ყოველდღე ავადმყოფები მოდიან და ჩვენც ვეუბნებით: ხვალე მოდიო, მიდიან საწყლები, მაგრამ უკან-კი იშვიათად ბრუნდებიან. „Не приходять“, ალბად „на тоть свѣть уходять“. ეჰ! ჩვენც ეს გზა გვაქვს!.. მხოლოდ ისინი ჩვენზე ადრე მივლენ!.. მოდი ერთი გადავკრათ!.. მიკიტანო, შე ავაზაკო, ჩამოასხი ჩქარა.

— კაცო-და, თუ ამდენი სული ასე უდროოდ ესალმება წუთი სოფელს, რას უყურებთ ან შენ და ან ის შენი დიდგულაძე? დავეკითხე ფერშალს.

— ეჰ! ერთი შენც ახირებულხარ. ისინი ჩვენს ექიმობას მაინც ვერ გამოიყენებენ. ეს დიდგულაძემაც კარგად იცის. ის ეხლა უთუოდ ლექსებსა სწერს. ჰო, მართლა, სამსი ლექსი მაინც ექმნება დაწერილი, მაგრამ არც ერთი-კი არ დაუბეჭდეს. ის მაინც გულს არ იტეხს, უნდა პოეტი გახდეს რაღა! მაგრამ მე უკეთესი პოეტი ვარ. ღვინოვ კახურროოო... ვარ შენი მსმელი...ეი... გინდ თეთრი იყო, გინდა წითელი ...ი,.. ჰაა! ჰაი! ჰაიიი!.. კაცო, როგორ შეგიკრავს ეგ წარბები? ასე გგონია, ასე გგონია, მამავ, შენს სისხლსა ვსვამდე?! ოჰ, ბიჭო, გეწყინა? მოდი ერთი გადაგკოცნო! წამოდგა და ისე მაგრა ჩამეკონა, რომ დამახრჩობდა, თუ მიკიტანი არ მომშველებოდა.

კარგად გავითვალისწინე საბეჩაოს მკვიდრთა მღვიმარეობა და საშინლად გულდამძიმებული დავბრუნდი სახლში. ამ მოგზაურობის შემდეგ ასეთი შენიშვნა უძღვენ ჩემს სარევიზიო რვეულს: „რაღ ერიდება ასე დიდგულაძე მშრომელს უმრავლესობას? რატომ არ, ესმის ამდენ საკოდავთა კვნესა? აგერ სოფლის საზოგადოების საუკეთესო მშრომელს ანადგურებს ათას ნაირი სენი; სული ამოსდით სისაწყლეში, სიბეჩავეში, უმეცრებაში, მაგრამ არც ერთი ღვთისნიერი ჩამგონებელი, გზის მაჩვენებელი არ გაიჩნიათ და, იმ დროს, როცა უპატრონობის გამო სული ამოსდით, ვისის ოფლითაც დიდგულაძისებურ კაცების ბედნიერება შექმნოდა, დიდგულაძის ეტლი სრიალით უახლოვდება რომლსამე წურბელა ჩარჩის კაცებს. ამ უკანასკნელს გადაპარებებულის მუცლის პატივით კუჭი მოშლია და, ცოტა არ იყოს, უგუნებოდ გამხდარა. სასაცილოა გაგა, სამწუხარო რომ არ იყოს? აქ ათასი მარჯვე მკლავი მიწდება, პატიოსან მუშაკის სიცოცხლე ჰქრება და ვკითხე, როგორ მოგეწონათ ი ადგილები მეთქი. იმათ მიპასუხეს,' რომ ძალიან კაი ადგილებია, მაგრამ გზა არ არისო. მე ვუთხარი:

— როგორ უნდა იცხოვროთ მუსულმანებთან ერთად, ისინი თქვენ ვერ გაგიტანებენ, თქვენ იმათა, და ყოველ დღე ჩხუბი და დავიდარაბა არ მოგაკლდებათ-მეთქი. იმათ მიპასუხეს:

— ჩვენ იმათ არ ვეჩხუბებითო, ჩვენ გაგვიერდება სანამდის ღორებს გაიჩენდეთ, თორემ შემდეგ ისინი გაიქცევიან ოსმალეთში და მერმე ვის უნდა ვეჩხუბოთ, დავრჩებით მარტონიო.

— დიაღ, ეს ნამდვილი და პატიოსანი ბაზრია-მეთქი; თქვენ რაღ უნდა იწუხოთ თავი, როდესაც თქვენ მაგიერ საქმეს ღორებიც შეიძლებენ.

ეს რომ გაიგეს აქაურ ფუხრებმა, ბ ნს ქუთაისის სამხედრო გუბერნატორს მოახსენეს, დაგვიხსენ იმათის ხელიდგან, იმათთან ერთად ჩვენი ყურანი და ადათი ნებას არ გვაძლევს, რომ ვიცხოვროთო. ჩვენი ქალი-ბაღანა იმათ ვერ გამოუჩნდება, ყანა-ბაღჩაში ჩვენ ცოლშვილმა თუ ვერ იმუშავა, ისე თავს ვერ ვიჩენთო. გვიშველე, გვიშველობე, არ გადმოასახლო ჩვენდგა დასაღუპავადაო.

ამ თხოვნას ბ-ნი გუბერნატორი შაიწყნარებს თუ არა, ჯერ არ ვიცით, მაგრამ მგონი არ უნდა იქმნას ამათი თხოვნა შეწყნარებული, თუმცა ძალიან საწყენი და სამწუხარო იქნება ყველა აქა მცხოვრებ მაჰმადიანებისათვის უცხო ტომთა გადმოსახლება. თუ, მართლადაც, მალაკნებს აუსრულდათ წადილი, მაშინ მურღულის ხეობაში ერთ მუსულმანს ვერ ვიშოვით წმილად, ერთ მშვენიერ ღამეს ყველა გადაიბარგება ოსმალეთში და იქიდგან შავი დღე დაადგებათ ღორებსა და მათ პატრონებს. ისეთ დღეს დააყენებენ, რომ გასაქცევი გზაც ვერ იპოვონ. აბა ვინ მოუთმენს იმას, რომ მამულ-დედულიდგან ხელი დაიბანინოს ვინმემ და ოსმალეთში შიმშილის კერძი გაჰხადოს ამდენ ფუხრების ქალი-ბაღანა!

და ღმერთი სიყვარულისა—ამური. დედამიწიდგან ცაზედ გადასახლებულთ ამბავი მიიტანეს, რომ ამ ქვეყნად ქალებს აღარა სწამთ წმინდა, უმანკო სიყვარულიო. ამ ამბავმა ძლიერ დააღონა მეფე სიყვარულისა. შეწუხდნენ მეფის ქვეშევრდომნიც. ჯულიეტა ტროოდა და რომეოს პირს არიდებდა, ჰიმენა აღარ შესაკერად თვალ-წარბში თავის როდრიგოს, პეტრარკას მწუხარებისაგან თვალთ ნისლი გადაეფარა და თავის ლაურას ვეღარ ხედავდა. ამურმა სთქვა: „არა, არ მჯერა, რომ დედამიწას ასეთი უბედურება სწვეოდეს; არც დავიჯერებ, თუ ჩემის თვალით არა ვნახე.“

დედამიწაზედ დაეშვა. რომელის გზით? მზის სხივს ჩამოჰყვა ერთს ბაღში. ბაღში ვარდი და ია გიშალა.

II

მეორე დღეს მთელს ქვეყანაზედ უდიდესს ქალაქის უდიდესს მოედანზედ გაჩნდა ვიღაც უცხო ახალგაზდა კაცი, მდიდრულად ჩაცმული. ამალა გარს შემორტყმოდა.

მოედანი წამსვე გაივსო ქალებით. არც ერთი ქალი არ დარჩა სახლში. დედებმა შვილებს დანებეს თავი, ცოლებმა ქმრებს. დაცარიელდა სასახლე. მონასტრის კარი გაიღო და მონოზნები მოედანზედ გამოვიდნენ. დედათა სკოლები დაიკეტა. უმაწვილმა ქალებმა დასტოვეს სკოლები და მოედანზედ გარბოდნენ.

უცხოელი კაცი ამბობდა:

— „მნათობნო ცისაგ! გაშლილნო ვარდნო! ტურფა ქალებო! დამიგდეთ ყური: მე სავაჭროდ არ მოვსულვარ. არ მომიტანია თქვენთვის არც ფერუმარილი, არც ახალი კაბები, არც სამკაული, არც თვალ-მარგალიტი. მომიტანია მხოლოდ სამ-გვარი წამოსასხამი. ზოგი ოქროს ფერია, ზოგი ალის ფერი, ზოგი თეთრი, როგორც ახლად მოსული თოვლი.

„ვინც ოქროს ფერს წამოსასხამს წამოიისხამს, ეღირსება სიმდიდრეს, განცხრომას, ფუფუნებას. დღე ყოველ არ გამოელევა ოთახში ოქრო, ვერცხლი, თვალმარგალიტი და ბანკის ბილეთები.

ათი-ათასმა ქალმა ხელები გაიწვდინა. თითქოს უნდოდათ, ეს წამოსასხამი ძალით წაერთმიათ.

„არის სიამოვნება, რომელიც ადამიანის გარყვნილს გრძნობას გამოუგონია. არის სიამოვნება, რომელსაც მაცდური დემონი ყურს ჩასჩურ-

---

სხვა-და-სხვა საგნების შესახებ ლექციებს კითხულობენ უკან ჩამორჩენილი მოძმეთა ჩასაგონებლად, სოფელელებს-კი აწყენს გასაგებ ენაზე საუბარი ჯანმრთელობის დაცვის შესახებ? რატომ ვერ ჰხედავს, რომ მისი თანამოსაქმე ლადო გონიერაძე აგერ ხოლერის შესახებ ლექციებს კითხულობს, მსმენელთ სასარგებლო ცოდნას სძენს და აქედგან შემოსულის ფულით ერთ ხელ მოკლე სკოლას ხელს უმართავს? რატომ ვერ ჰხედავს, რომ მთელი სამკურნალო მოედანი ჩვენში ვერანად ქცეულა, ერთს სასარგებლო წიგნაესაც-კი ფეხს ვერ წამოჰკრავს ქართულს ენაზე, რომელშიაც მოთხრობილი იყოს რამ ჯანმრთელობის ან კიდევ ბავშვების მოვლის შესახებ? განა ცოტა სარგებლობას მოიტანდა ამ გვარის წიგნების შედგენით და იაფ ფასად ხალხში გავრცელებით? თუ იმას უცდის სანამ ათასი საქმის უცოდნელი უნიჭობა, თავიანთ ნაწარმოებით მოსვრის მისს საპატო სარბაელს? რად იჭერს ასე მაღლა თავს? რად გაბღინძულა? მე მესმის, როცა რომელისმე სოფლის მწერალი იბღინძება, ან კიდევ საყველ-პურო რუსულის მცოდნე ქარაფშუტა მოხელე. ესენი გონებით ბევრად დაბლა დგანან იმ ბეჩავებზე, რომელთაც ქეჩოზე მოჰქცევიან და ამიტომაც მაღლა იჭერენ თავს. კარგად იციან: მათ ხალხთან დაახლოვებას შედეგად ის მოჰყვება, რომ ვინმე ეტყს შეიტანს მათ გონებრივსა და ზნეობრივს სისრულეში და ეს ვერაფრად ხელსაყრელი იქნება მათთვის. დიდგულაძემ ხომ უმაღლესი სასწავლებელი დაასრულა. ბევრს უმეცარს ჩაგონებს, გზადაბნეულს გამოიყვანს უკუნეთიდგან მადლიანის სიტყვით. მაშ რად, რად არ ერჯის

ჩულებს უმანკო ქალსა, ვინც ალის ფერს წამოასხამს აირჩევს, გამოსცდის ყოველ გვარ სიამოვნებას. არა რადარჩება მისთვის გამოუცდელი. მაგრამ როცა გათენდება ტ მოშზამულ, მოწამლულ ოთახში მზე შემოაშუქებს უმანკო შუქსა, თვალს ვერ გაახელთ სირცხვილისაგან.

ათი-ათასმა ქალმა ხელები გაიწვდინა. თითქოს უნდოდათ, ეს წამოსასხამი ძალით წაერთმიათ.

„ვინც თეთრს წამოასხამს აირჩევს, გამოსცდის წმინდა, უმანკო სიყვარულს, რომელიც გულს უუსებს ადამიანს სინეტარო ბედნიერებით. გახდება ერთგული მეუღლე ერთგულის ქმარისა, რომელიც გამსჭვალული იქმნება მხნეობით, პატიოსნობით, სიმართლით. ეს წამოასხამი არ აგიმღვრევთ სისხლს, არ აგინთებთ გულში ვნებათა ღელვას, არ გამოგაცდევინებთ არაოდეს სირცხვილს, სინიდისის ქენჯნას, დაწყეველილს სურვილს სიმდიდრისას.

„მნათობნო ცისაგ! გაშლილნო ვარდნო! ტურფა ქალებო! აირჩიეთ, წაიღეთ, თეთრი, როგორც ახლად მოსული თოვლი, წამოასხამი!

ათი-ათასობით გარს მოეხვივნენ ქალები და ჰკითროდნენ:

— ოქროს ფერი!

— ალის ფერი!

— ოქროს ფერი!

— ოქროს ფერი!

— ალის ფერი!

უცხოელი ვერ ასწრობდა წამომოასხამების დარიგებას. კარგი კიდევ, რომ ამალა ეხმარებოდა და წამოასხამებს არიგებდა. კარგა დაღამდა. უცხოელი ჯერ ისევ წამოასხამებს ურიგებდა ქალებს. ცოლები, დედები, ღარიბნი, მდიდარნი, მონოზნები, მოწაფე ქალები იმ დრომდე არ მოშორდნენ მოედანს, ვიდრე წამოასხამებით სავსე ორი ყუთი არ დაცალიერდა. მესამე, თეთრის წამოასხამებით სავსე ყუთი არც-კი იხილა.

III

ამურმა მთელი ქვეყანა დაიარა. ყველგან დაარიგა წამოასხამები. დაიარა ქალაქები, დაბები, სოფლები, მაგრამ არ იქმნა, მთელ დედამიწის ზურგზედ არც ერთმა ქალმა არ მოინდომა თეთრი წამოასხამი. დარწმუნდა ამური, რომ ეხლა-კი ბოლო მოეღო დედამიწაზედ მის მეფობას, სახელს, დიდებას. სიმდიდრე, ვნებათა ღელვა, დაბალი გრძნობა—ეს-და იყო ერთად-ერთი საწადელი და სა-

---

გული სამოქმედოდ? რად ჰმარხავს თავის შეძინებას? რატომ არ აგონდება ჩვენი სასიქადულო პოეტის სიტყვები: „არა ვიქ, ცოდნა რას მარგებს ფილოსოფოსთა ბრძნობისა?“ რად ეწევა ასე უსულ-გულო ცხოვრებას? მიზეზი ის არის, რომ სასწავლებლიდგან ცოდნა გამოჰყვა და ის ღვთიური ნაპერწკალი-კი არა, რომელიც ღონიერს თავს და მარჯვე მკლავს საწაღმართოდ ამოქმედებს. საუბედურად ჩვენდა, დიდგულაძე უამხანაგოდ არ არის. აგერ მთელი კომპლექტი მოდუნებულთა მცონართა. „საქმით მეტყველს სულს“ დიდიხანია გამოსალმებინან, შემძვრალან თავიანთ სოროში და გულის ფანქალითი მოელიან ფუჭის ცხოვრების დასასრულს. ზოგს მათგანს ისეთი სახის მეტყველება მიუღია, თითქო ეს არის ძლიერი ომი გადიხადა და სასტიკის ბრძოლის შემდეგ განი-

---

უცხოეთი

ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲐ. გერმანიაში შულცე-დელიჩისა, მიკელისა, ვირხოვისა და სხვ. მიერ 1871 წელს დაარსებულმა საზოგადოებამ გამოაცხადა წარსულის წლის ანგარიში საზოგადოების მოქმედებისა. ამ ანგარიშიდგანა სჩანს, რომ წლის დამდეგს საზოგადოების წევრებად ითვლებოდა 3,622 კაცი. წლის შემოსავალი საზოგადოებისა ყოფილა 35,303,025 მარკა, გასავალი-კი—33,778,003 მარკა. საზოგადოების მმართველობამ წარსულ წელს გამართა გერმანიის სხვა-და-სხვა ადგილებში 126 საზოგადო ლექცია. გარდა ამისა საზოგადოებას წარსულ წელსვე დაუბეჭდია თავის ხარჯით 4,500 წიგნი და ბროშიურა დაბალ ხალხისათვის; ამ წიგნების ერთი ნაწილი საზოგადოებამ შესწირა სახალხო ბიბლიოთეკებს.

ᲞᲠᲣᲡᲘᲐ. ამ ქამად პრუსიაში 122 საოსტატო სემინარიაა. 111 ვაჟებისათვის და 11 ქალებისათვის. რაღა თქმა უნდა, ამ სემინარიებისათვის სახელმწიფო დიდ ფულსა ხარჯავს. ჯერ მარტო სემინარიების შენობებისთვის დახარჯულია 1873 წლიდგან 1892 წლამდე $21^1/_2$ მილიონი მარკა. 1892 წელს სემინარიების შენახვაზედ დახარჯულა პრუსიაში 6 მილიონ მარკამდე. ამავე წელს საოსტატო სემინარიებში უსწავლია 10,896 ყმაწვილ კაცს. დედათა სემინარიებში იმავე წელს უსწავლია 703 ქალსა.

ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘ. საფრანგეთის მთავრობას შემდეგი პასუხი მოსვლია სიამისაგან: „ბ-ნო მინისტრო. პასუხად თქვენს ულტიმატუმზედ, რომელიც მოგვივიდა ამ თთვის 20-ს, მეფემ მიბრძანა მოგახსენოთ შემდეგი: ა) მისი უდიდებულესობა დიდადა სწუხს, რომ არაოდეს არ განუმარტნიათ მისთვის, რას ნიშნავს ეს სიტყვები: „უფლება ანამისა და კამბოჯის სახელმწიფოთა მეკონგის მარჯვენა მხარესა დაკუნძულებზე... მისი უდიდებულესობა ყოველთვის თანხმა იყო უარი ეთქვა იმ ადგილების უფლებაზედ, რომელთა შესახებ, აგერ ხუთი თვეა, გთხოვთ, საქმე მედიატორთა სამართალით გაირჩეს. ამ ქამად მეფე თანხმდება თქვენს პირობებზედ, რადგან შევიწროებულია საფრანგეთის მხრივ და ამასთანავე მშვიდობიანობა სურს თავის

სვენებსო. სიცილს მოგვრისთ ეს უომრად დამარცხებული ახალგაზდობა და ძალაუნებურად მაგონებს იმ მენავეთ, რომელთაც ნიჩბები დაუყრიათ, თვალები მდინარის შესართავისკენ მიუპყრიათ და ამობოქრებულის ზვირთების ნამუსს მინდობიან: ვნახოთ, გაგვწირამს თუ არაო? ყველას ჩვენგანს ხომ ძალაც იმდენი არ უბრწყინავდეს წინ, ჩვენი ყოფა აუტანელი იქნებოდა. მეც, როგორც უბრალო მომაკვდავს ასეთი იმედი მაასულდგმულებს. მაგალითად, მე იმედი მაქვს, რომ დიდგულაძე და სხვა მისთანანი, სადაც არის ამ გულდავარდნილობას თავს აართმევენ და თავიანთ შეძლებას, რაც უნდა ცოტა იყოს იგი, ქვეყნის წარმატებას მოახმარებენ. იმედი მაქვს, რომ ისინი, ვისაც ჩვენის ახალთაობის წვრთნა უკისრნიათ, დაუფიქრდებიან ამ გარემოებას და იმ დროს, როცა ასეთის გულდადებით იღვწიან მოზა-

---

ერისთვის. დაუთმობ ანამსა კამბოჯას მარცხენა ნაპირ მეკონგისას. ბ) ამ ადგილებს ჩვენი ჯარი დასტოვებს ერთის თვეის განმავლობაში. გ) მეფე ძლიერ ნანობს იმ შეტაკების გამო, რომელიც მოხდა ტენგ-კიონგ-კოსა, კამონთან და მეინამის მდინარეზე. მეფე თანხმაა დაკმაყოფილოს საფრანგეთის სამართლიანი, მოთხოვნილება, თუ ეს დაკმაყოფილება წინაადმდეგი არ იქმნება სიამის თავისუფლებისა. დ) ვინც ფრანგებს თავს დაეცა, დასჯილ იქმნებიან და თქვენის მხრიდგან მოკლულთა ოჯახობას სიამი ფულს გადუხდის. ე) სიამის მთავრობა თანხმაა გადიხადოს ორი მილიონი. სიამის მთავრობა დარწმუნებულია ამასთანავე, რომ საფრანგეთი ყველა ამით დაკმაყოფილდება.

ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘ. ჰომრულის ბილლის შესახებ კამათობის დროს გამოაშკარავდა, რომ ირლანდიიდგან ამ ქამად ინგლისის სახელმწიფოს წმინდა შემოსავალი აქვს 2,302,000 გირვანქა სტერლინგი. ჩემბერლენი ამტკიცებს, რომ, თუ ჰომრულის ბილლი დამტკიცდა, მაშინ ეს შემოსავალი 500,000 გირვანქით ნაკლები იქმნებაო.

წერილები რედაქციის მიმართ

I

გთხოვთ თქვენის გაზეთის საშუალებით უფლებათადამი ძალდობა გამოგუცხადო გენერალ-მაიორს მისეულ ქალისაროს ძე ამარეკიბს, რომელმაც თავის სარჯით შეაკეთა ავლეკის დაზიანებული ეკლესიაა.

მღ. დ. ედილაშვილი

II

უმდაბლესად გთხოვთ მისცეთ ადგილი თქვენ პატივცემულს გამოცემაში ამ ჩემს მცირეს შენიშვნას.

ჩემს რწმენებულ სამკალაქო მთავრანგელოზის ეკლესიის სამრეკლო მეტის-მეტად მცირე და ნაკლებია, რადგან ადგილობრივ მცხოვრებნი შორის მრავალ-მადდებელის სარწმუნოებისანი არიან მეტად ცოტანი და სამაზრო მოსულნიც თითქმის ერთობ უცხო სკეფალისანი. ცხადია, მაშასადამე, თუ რა მცირე შემოსავალიც ეკმნება მოხსენებულს ეკლესიასა და ამის გამო რა ღარიბთაც გაწეობილი საზრო სავალესიო სამკუდოთა, მეტადრე, რომ ჯერეთ ისევ გარდასახდელი აქვს აღშენებაზედ დასრულებული.

რდთა გონებრივ წარმატებისათვის, ამათ გულსაც არ დაივიწყებენ, ეცდებიან მოსწავლის გრძნობაზედაც იმოქმედონ. მოძმის უბედურების გასათვლისწინებლად ჭკუა არის საჭირო, მაგრამ ტვირთ მძიმეთა კენესას გაფაქიზებული გრძნობა გამოეხმარება ხოლმე. იმედი მაქვს კიდევ, რომ ჩვენი ახალთაობა გულის ფიცარზე გამოიტრის უკვდავის შოთას უკვდავ სიტყვებს:

„გული, ცნობა და გონება ერთმანეთზედან ჰკიდიან.
უგულო კაცი ვერ კაცობს, კაცთაგან განაკიდიან“.

ეს ჩემი შენიშვნა ეჭოძემ მომიწონა და ამიტომაც გარდავსწყვიტე, მკითხველს მივაწოდო. რასაც ის მომიწონებს, კვლავ გამოვაქვეყნებ.

შუბნელი

ლის და კიდად აღებულის აწყურის წმ. გიორგის ეკლესიის ფუფლიდამ კიდეკ 300 მანეთი.

ამ საზოგადოთა დასაკმაყოფილებლად და მოახსენებულს ეკლესიის მცირეოდენად მაინც შესაფერად გასაწყობად და შესამკობად დაწესებულ იქმნა ადგილობრივ, უმაღლესად დამტკიცებულის წესით, სამრეკლო - სუკეკლესიო სამზრუნველო 1889-ს წელში; მაგრამ არცა რა ბეური ამით ეშველა საქმეს, რადგან სამზრუნველოს თავმჯდომარე ბ. შეშენინა გადაყენებულ იქმნა აქედამ შუშაში 1891 წელს სექტემბრის 1. მისი მოამაგეკე ჯერეც არავინა ეკუეს და იგი სამზრუნველოდ ეფალრას ჭმოქმედებს.

ამისათვის იძულებული შეიქმენ მეთხოვნა დასმარება და სელის მოწერით ფუფლის შეკრება, რომელთამე მიუღებელებად საწერო სუკეკლესო ნაკლულევანებათა მაინც დასაკმაყოფილებლად, ოთარ გასათხოვარის ქალისათვის, დ. ს. ნუმენეკო და ვ. მ. იაკოვლევისათვის, რომელთაც არ დაჭზოგეს არავითარმე შრომა და ენერგია-მოდგინეობა და შეჭეგრიან 228 მანეთი და 81 კაპ., რომელიც გარდასცეს სამზრუნველოს ხაზინადარს, ადგილობრივ მზრის მეურნალს, ბ. ნუმენეკოს, ხოლო ამ უანსასენელის მიერ შეტანილ იქმნა ეს ფული დროზედ, რასეკერეკელაა, ადგილობრივის ხაზინის სასელმწიფო ბანკის განეოფილების კასში.

ამისათვის ნებას ვითხოვ თქვენის გაზეთის საშუალებით უგულითადესი მადლობა მოვასენო როგორათაც ზემო მოხსენებულ ქალთა, დ. ს. ნუმენეკოს და ვ. მ. იაკოვლევისას, აგრეთვე ერთობ ეკალეს ამ შემოწირველთა, რომელთაც, ეანურჩეკელად სალხინსობისა და სარწმუნოებისა, არ დაჭზოგეს თავიანთი ეკალილი ასეთის კეთილის საქმისათვის.

უღრმესად მადლობელი დავშეობი სხვა ადგილობრივ ეაზეთის რედაქციებისაცა, ეკეთუ ინებებენ ამ ჩემის შენაშენის გადბეჭდვასა თავიანთ გამოცემებში, რადგან შემომწირველთა შორის ბეკრნი არიან რუსნიც და სომეხნიც.

ქალაქ სიღნაღის მთავარ-ანგელოზის ეკლესიის დეკანოზი

სვიმონ ბეგიევი

18 ივლისს 1893 წ.
სიღნაღი.

დეპეშა

20 ივლისი

პეტერბურგი. რადგანაც პეტერბურგის ქალაქის მოურავის არჩევა ვერ მოხერხდა, ამ თანამდებობაზედ მთავრობის-მიერ დანიშნა საბჭოს ხმოსანი რატკო-როეწნოვი.

ბერლინი. Reichst Gesetz Blatt აცხადებს გარდაწყვეტილებას იმის შესახებ, რომ იმ საქონელს, რომელიც მრავლად გაიქეთ რუსეთიდამ საზღვარ-გარეკ, გერმანიაში შეტანის დროს 50°/₀ მომეტებული ბაჟი უნდა გადახდესო.

21 ივლისი

პეტერბურგი. ნოვოზიბოვსკის მცხოვრებმა შეპეკეკმა წარუდგინა გასასინჯად საფრანგეთის საელჩოს მის მიერ გამოგონილი მანქანა, რომელიც უცაბედ შეაყენებს მიმავალს მატარებელს. საფრანგეთის საელჩოს განზრახვა აქვს ეს მანქანა წარუდგინოს მთავრობას. ამ მანქანის ხმარება მალე იქმნება შემოღებული რუსეთის რკინის გზებზედ.

ბერლინი. გაზეთი „Confectionar“-ი იუწყება, რომ გერმანიის მექარხნეები ძლიერ შეფიქრიანდნენ. მექარხნეებს ეშინიათ, რომ რუსეთიდგან შეკვეთილ საქმეში ძლიერ ბევრს იზარალებენ. ახალ საქმეს გერმანიის მექარხნენი რუსეთიდგან აღარ იღებენ.

ლონდონი. გარეშე საქმეთა სტატს-სეკრეტარის ამხანაგის გრეის საზოგადოებათა პალატაში მოახსენების გამო ლიპპარაკი ჯერ შესწყდა მდინარე მეკონგის ნაპირების შესახებ. საქმე არ გამწვავდება, რადგანაც საფრანგეთი და ინგლისი ერთმანეთს ეთანხმებიან. კუნძულ კოსინშანგის დაპყრობა, ამბობენ დროებითი ღონის ძიებაა, ისეთივე, როგორც სიამის ნაპირებისთვის ზარბაზნების დაშენა.

პარიზი. გაზეთები ამტკიცებენ, რომ დეველისა და ლორდ დიუფერენის შორის მოლაპარაკებით გამოირკვია, რომელი ადგილები უნდა დარჩეს ნეიტრალურად საფრანგეთის ახალ ადგილებისა და მორმინგამისა და ჩინეთის საზღვარის შუა. ამ საქმის შესახებ ოქმებს ხელს დღეს მოაწერენ.

	მოდგ. ლეს.	გამო-ლეს.	გაუფლ. ლეს.
	მან. კ.	მან. კ.	მან. კ.
ფუთ-მანკიანი ოქრო .	7_{168}	7_{169}	— ,,
ტამოჟნის ეუპოვები .	$15^{2}/_{4}$	$15^{3}/_{4}$	— ,,
ძანეოიანი ვერცლის ფული	— ,,	— ,,	— ,,
5°/₀ პირველის შინაგანის სესხის მომგები ფილეი	$241^{1}/_{4}$	— ,,	— ,,
—მეორისა	$225^{1}/_{4}$	— ,,	— ,,
4°/₀ მესამე სესხისა. .	— ,,	— ,,	— ,,
სახელმწიფო ბანკად-ბნურობის ბანკის მომგებ. ფურცელი . .	$194^{1}/_{4}$	— ,,	— ,,
გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა:			
6°/₀.	— ,,	— ,,	— ,,
5°/₀.	— ,,	— ,,	— ,,
ქუთაისის ბანკისა 6°/₀.	— ,,	— ,,	— ,,
5°/₀.	— ,,	— ,,	— ,,
5°/₀ ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო ხაზოგადოებისა	— ,,	— ,,	— ,,

გამოსადეგი ცნობანი

რკინის გზის მიმოსვლა

ტფილისიდგან ბათუმს მიდის საფოსტო მატარებელი 9 ს. 30 წ. დილ.

ბათუმიდგან ტფილისს მიდის. . 9 52 წ. საღ.

„ . . . . . „ . 12 ს. 25 წ. შუად

ტფილისიდგან ბაქოს მიდის 1 ს. 20 წ. შუადღ.

ბაქოდგან ტფილისს მოდის „ . . 5 ს. 50 წ. საღ.

ტფილისსა და განჯას შუა.

ტფილისიდგან განჯას მიდის . . 9 ს. 20 წ. საღ.

განჯიდგან ტფილისს მიდის „ . . 7 ს. 30 წ. დილ.

ტფილისიდგან ხაშურს მიდის 3 ს. დღ. ხაშურიდგან ტფილისს 8 ს. 10 წ. დილ.

მიმოსვლა ყეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ

ბათუმადამ გასდის:

ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲝᲑᲘᲗ: დღისით 4 საათზე მოკლე გზით, შეიელის ნოვოროსიისკშის რᲝᲑᲘᲗ ღამის 2 საათზე, შორის. გზით, შეიელის ფოთსა და ყველა ნავთსადგურში. ᲡᲐᲛᲨᲐᲑᲐᲗᲝᲑᲘᲗ: დღისით საათზე სოხუმისა და ნოვოროსსიისკით.

ბათუმში მოდის:

ღამის 12 საათზე სწორე გზით ნოვოროსსიისკსა და სოხუმით.

ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲝᲑᲘᲗ: დილით სწორე გზით კერჩსა და ნოვოროსსიისკით.

ᲞᲐᲠᲐᲡᲙᲔᲕᲘᲗ: საღამოთი შორის გზით ყველა ნავთსადგურებში შეიელის.

ფოთში მოდის:

საფოსტო და სახალხო ბათუმიდგან კვირ, დილით, განთიადისას.

ᲞᲐᲠᲐᲡᲙᲔᲕᲘᲗ: საფოსტო და სახალხო ოდესიდგან დღისით.

ᲡᲐᲛᲨᲐᲑᲐᲗᲝᲑᲘᲗ: დღისით სახალხო და საქონლისა ოდესიდგან.

ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲝᲑᲘᲗ: სახალხო და საქონლისა ბათუმიდგან, დღისით.

ფოთიდგან კვდის:

ᲞᲐᲠᲐᲡᲙᲔᲕᲘᲗ: ნაშუადღეკის ორ საათზე საფოსტო და სახალხო ოდესში და ყველა ნავთსადგურში შეიელის, დილის 5 საათზე,

ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲝᲑᲘᲗ: საფოსტო და სახალხო საქმის გათავების შემდეგ ბათუმში.

სახალხო და საქონლისა ბათუმში, სამშაბათობით, დილის 10 საათზე.

სახალხო და საქონლისა ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲝᲑᲘᲗ ოდესში და ყველა ნავთ-სადგურში შეიელის.

საქონლისა და სახალხო გემზე II და III კლ.ასის მოგზაურები მიიღებიან უსაზღვოდაც

განცხადებანი

Გ. ტფილისის მართ-მადიდებელთა ᲒᲣᲯᲔᲘᲡ სასაფლაოს, მოტიქეულთა სწორ წმ. ნინოს ეკეკლესიის ᲐᲮᲨᲘᲜᲔᲚᲘ სამზრუნველომ, შემოაკეკო-რა ამ მდგომარე წელს სასაფლაოს ქვით-კირის გაკეთებანი, განიზრახა ᲐᲯᲒᲝᲡ სასაფლაოს ეკეკლესიაც, ტფილისის სეკუნერნო გამგეობის სასუროთ-მოძღვრო განაფილებას ᲒᲔᲒᲛᲘᲡ თანხმად. ამ ეკეკლეის ᲐᲮᲨᲘᲜᲔᲚᲘ ეარაუდით დაკეკდება 14 ათას მანეთზედ მეტი.

ეინაიდგან სამზრუნველოს არ მოეპოვება ტაძრის ასაგები ფული, მაკმართავს ᲕᲣᲜᲔᲚᲘ, ეინც-კი თანაუგრძნობს ამ სასაფლაოს განკარგეკის საქმეს, არ დაეშურაოს თავისის წყალობის შეწირეკ და მით მისცეს სამზრუნველოს სეკსარი ეეკეკლესის აეკანისა.

მზრუნველობა სთხოვს ᲕᲣᲜᲔᲚᲘ, შემოწირულება გაუგზავნოს სამზრუნველოს წეკრ-ᲮᲐᲖᲘᲜᲐᲓᲐᲠᲘ დეესტეკეულნი სტატსკი სოკეტნაკ ალექსი ანტონის ძეს სემენინოკს, ამ ადრესით: ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი № 44, ან იმისკე სასაფლაოზედ მთავარ-მართებლის კანცეკლარიის სამსეკრო ოდეკთა გამგეობაში, ლორის-მელიქოკის ქუჩაზედ.

(6—4)

ᲒᲑᲘᲚᲘᲡ ᲔᲥᲘᲛᲘ

Ა. Ი. ᲝᲠᲑᲔᲚᲘ

სოლოლაკზედ, საკუთ. სახლებში №№ 14—16

ᲐᲒᲐᲓᲛᲧᲝᲤᲔᲑᲡ ᲛᲘᲘᲦᲔᲑᲘᲡ:

დილით 8-დგან 12 საათამდე.

საღამოთი 4-დგან 6 საათამდე.

ᲙᲘᲠᲘᲐ-ᲣᲛᲫᲝ ᲓᲦᲔᲔᲑᲨᲘ

დილის 8 საათიდგან ნაშუადღეეე 2 საათამდე. (150—74)

ᲛᲐᲛᲝᲡᲐᲓᲔᲒᲘ ᲪᲜᲝᲒᲐᲜᲘ

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲑᲔᲠᲝ ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲐᲚᲝ

ᲔᲥᲘᲛᲘᲡ ᲜᲐᲒᲐᲡᲐᲠᲓᲘᲐᲜᲘᲡᲐ

(ᲒᲣᲯᲘᲐᲨᲘ, ᲕᲐᲠᲐᲜᲪᲝᲕᲘᲡ ᲫᲘᲒᲚᲘᲡ ᲞᲘᲠᲓᲐᲞᲘᲠ).

ავადმყოფთ იღებენ და სინჯავენ ექიმნი ყოველ-დღე, კვირა დღეებს გარდა.

ᲓᲘᲦᲚᲝᲑᲘᲗᲝᲑᲘᲗ ᲘᲦᲔᲑᲔᲑᲘ:

Ბ. Ს. ᲜᲐᲒᲐᲡᲐᲠᲓᲐᲜᲘᲐ, 11—12 საათამდის იმათ, ვისაც სპირს სნეულებანი: გარეგანი (ᲮᲘᲠᲣᲠᲒᲘᲣᲚᲘ), კბილებისა, ვენერიული და ათაშანგი (სიფილისი).

Ჯ. Მ. ᲩᲘᲭᲝᲜᲐ, 9—$10^{1}/_{2}$ საათამდის, სნეულებანი: თვალის და ნერვებისა—ტანში ტკივილებისა.

Დ. Გ. ᲠᲣᲓᲖᲝᲕᲡᲙᲘ, 10—$11^{1}/_{2}$ საათამდის, სნეულებანი: შინაგანი, ბავშვებისა და დედათა სქესისა.

Ა. ᲤᲐ. ᲨᲠᲝᲢᲐᲡᲣᲚᲝᲩᲘ, $11^{1}/_{2}$—$12^{1}/_{2}$ საათამდის, სნეულებანი: ყურის, ყელის და ცხვირისა.

Ს. Შ. ᲙᲐᲠᲐᲨᲔᲢᲝᲜᲪᲘ, 1—$1^{1}/_{2}$ საათამდის, სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

ᲡᲐᲓᲐᲛᲝᲛᲝᲜᲘᲗᲝᲑᲘᲗ ᲛᲘᲘᲦᲔᲑᲔᲑᲘ:

Ა. Გ. ᲩᲔᲮᲝᲠᲪᲝᲕᲡᲙᲘ, 5—6 საათამდის, სნეულებანი: თვალის და გულმკერდისა; ხიმიურად და მიკროსკოპიულად გასინჯავს ნახველს (ᲮᲝᲠᲮᲚᲘ) და შარდს.

Ს. Ს. ᲙᲐᲓᲐᲛᲘᲡᲙᲘ, 6—7 საათამდის, სნეულებანი: ათაშანგი (სიფილისი), ხორცის კანის და გარეგანი (ᲮᲘᲠᲣᲠᲒᲘᲣᲚᲘ).

Ბ. Ს. ᲜᲐᲒᲐᲡᲐᲠᲓᲐᲜᲘᲐ, 7—$7^{1}/_{2}$ საათამდის.

Ჯ. Ა. ᲤᲐᲠᲜᲪᲘᲣᲜᲘᲐ, $7^{1}/_{2}$—8 საათამდის, სნეულებანი: ყურის, ყელის, და ცხვირისა, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

რჩევა-დარიგების და რეცეფტის დაწერის ფასი ათა შაურია; ფასი ექიმთა კრების რჩევისათვის (კონსილიუმისათვის) და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამეურნეოისა, დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

ტფილ. გამოფენა.



ვერცხლისა

ოქროსი

ᲐᲦᲐᲚᲝ ᲗᲣᲗᲐᲔᲕᲘᲡ

ᲖᲔᲗᲘᲐᲜᲘᲡ ᲙᲠᲐᲡᲙᲔᲕᲘᲡ ᲥᲐᲠᲮᲜᲐ ᲘᲐᲠᲗᲣᲚᲐᲖᲔᲓ

ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲨᲘ:

ვიღებ სახლების აშენებას, აგრედვე სახლების შეკეთებას (ремонтъ) და შეღებვას (полная окраска домовъ). ვყიდი ფაბრიკის ფასად ზეთს, ყოველ ნაირ ზეთიანს და მშრალ კრასკებს, აგრედვე ლიტო-ტიპოგრაფიისას და ამათ მოწყობილებას, კრასკები შეიძლება დაიბარონ სხვა ქვეყნებშიაც 20°/₀-ის ბეის გამოგზავნით, დანარჩენი საქონელის მიღების დროს (наложеннымъ платежомъ). რაც შეეხება კარგი თვისების და კარგა შეზავებული კრასკის გაყიდვას, ყველა მსყიდველი დარწმუნებული უნდა იყოს რომ უტყუარი იქნება. ჩემის საშუალებით და ჩემის თავდებობით შეუძლიან ყველას ყველანაირის სინიდისიანის ხელოსნებისშოვნა, მხოლოდ ცოტა ადრე უნდა შეგვატყობინონ.

(48—30) ᲐᲦ. ᲗᲣᲗᲐᲔᲕᲘ

ᲡᲐᲥᲝᲛᲔᲠᲪᲘᲝ ᲙᲣᲠᲡᲔᲑᲘ

ᲥᲐᲚᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲕᲐᲟᲘᲨᲕᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲬᲔᲚᲘ ᲛᲔᲗᲝᲠᲛᲔᲢᲔ

კურსების დანიშნულება ის არის, რომ სპეციალური საკომერციო განათლება შესძინოს მსურველთ, როგორც ქალებს, ისე კაცებს, და მომამზადოს ვარჯიშობის შემწეობით ანგარიშის დახელოვნებით მცოდნენი.

სწავლის გათავების შემდეგ ატესტატები ეძლევათ. 1893—94 სამოსწავლო წელს შემდეგი საგნები იქმნება სასწავლებელი: 1) საკომერციო კანონმა, 2) საკომერციო არითმეტიკა, 3) ბუხგალტერია მარტივი, ორ-კეცი და საბანკო 4) არითმეტიკა სასხვადასხვა ჩოთქოთ, 5) საკომერციო მიწერ-მოწერა, 6) საკალრო და სათამასუქო წესდებანი, 7) მწერაფლ-წერა და წერა კალიგრაფია და მნოიანი.

სწავლა დაიწყება 15 სექტემბრიდამ. ახლად შემომსვლელთა მიღება დაიწყება 1 სექტემბრიდამ, ყოველ დღე საღამოს 4 საათიდამ 8 საათამდე, კურსების სადგომში, სახლი ალექსანდრე ფრადინოკისა, № 9, სერგეევსის და საგორნის ქუჩაზე, ᲐᲯᲐᲠᲘᲐᲨᲘ ᲑᲐᲠᲓᲐᲕᲔᲠ.

პროგრამები და წესები კურსებისა უსასყიდლოდ შეიძლება მიიღოს მსურველმა კურსების სადგომში და ამითა წოვიანოვების საბანკირო კანტორაში, სონინს ქუჩაზედ.

ვინც ქალაქს გარეშე სცხოვრობს, შეუძლიან წერილით მიმართოს კურსების დამაარსებელს Ბ. ᲛᲮᲣᲚᲔᲜᲪᲘᲡ, ტფილისს. (24—6)

Дозв. ценз. Тифлисъ, 21-го Іюля 1893 г. ᲡᲢᲐᲛᲑᲐ Გ. ᲗᲐᲠᲐᲮᲘᲡᲘᲡ რედაქტორ-გამომცემელი ᲘᲚᲘᲐ ᲭᲐᲕᲭᲐᲕᲐᲫᲔ